საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

b r Z a n e b a № 1/428

ქ. თელავი **1 სექტემბერი 2014წ.**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ N1/350 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ-ე ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის“- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ N1/350 ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტებში შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - შიდა მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტებისათვის განცხადებების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 1 აგვისტოდან 2014 წლის 5 სექტემბრის 17^{00} სთ-მდე;
   - დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შიდა მობილობის შედეგები წარმოადგინოს 2014 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით;

2. დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (თ. ხოტენაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

უნივერსიტეტის რექტორი ავთანდილ ღელაღუტაშვილი